სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება

როგორც თქვენთვის ცნობილია 2018 წელს საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შეთხვევაში შეუძლია შეინარჩუნოს საქართველოს მოქალაქეობა, თუ იგი აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებამდე საქართველოს სახელმწიფოდან მიიღებს თანხმობას საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე.

ამასთანავე, განხორციელებული ცვლილებების შედეგად, იმ საქართველოს მოქალაქეებისათვის ვისაც უკვე მიღებული აქვთ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და რომელთა მიმართ 2018 წლის 15 აგვისტომდე არ იყო მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეობის სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგვის თაობაზე, დაწესდა გამონაკლისი და განისაზღვრა საშეღავათო პერიოდი, რომლის თანახმად მათ მიეცათ უფლება **2020 წლის 31 დეკემბრამდე** მიმართონ საკონსულო სამსახურებს/სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მოთხოვნით.

თუ გსურთ რომ არ შეგიწყდეთ საქართველოს მოქალაქეობა კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ წარმოადგინოთ საკონსულოში შესაბამისი განცხადება და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

იმის გადასამოწმებლად შეწყვეტილია თუ არა თქვენი მოქალაქეობა, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურში.